# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 209. კვირა, 11 აპრილი 1904 წ. გაზეთის № 2463

### მ ჭ ე დ ე ლ ი

(რუსულიდან)

ბავშვობიდანვე მიქადოდნენ ბედნიერებას,
დედ-მამაც მასვე ჩამძახოდა, ვით წინათ მთქმელი;
მე ვიზრდებოდი, თან მაძლევდნენ ამ დარიგებას:
„ბედნიერების შენ თვითონვე გახდი მჭედელი.“

ბევრი დავღვარე სისხლ-ნარევი ოფლი და ცრემლი,
ვიტანჯ-ვეწვალე და ვატარე მძიმე უღელი;
მაგრამ მე მაინც ვერ დავძლიე ურიცხვი საქმე,
ბედნიერებაც დამრჩა ისევ გაუჭედელი.

ჩემ ძალ-ღონესა უსარგებლო ჯაფას ვახმარდი,
შრომისა მძიმე უღლის ქვეშე ვიღუნებოდი,
გაჭირვებისა ბორკილებში ილაჯს ვიწყვეტდი,—
ბედნიერებას აბა როგორ გავეცნობოდი?!

და დღესაც, სასტიკ ბრძოლაშია გამოწრთობილი,
ბავშვობიდანვე შრომის უღლის წევას ჩვეული,
ქედს არ მოუხრი მე ცხოვრებას... ბრძოლას მთხოვს გული:
ბედნიერებას უსათუოდ ვპოვებ ტანჯული!

მრწამს, რომ გავჭედავ ჩემთვის უროს თვით ფოლადისას,
მტრისთვის მრისხანეს, ომში სასტიკს, საშინელებას;
რომ იმის ხმაზე სულყველანი მერიდებოდნენ
და თან იცოდნენ, რომ ჩემთვისა ვჭედ ბედნიერებას!

დ. ჭანტურიშვილი.



† მხატვარი ვ. ვერეშჩაგინი,
„პეტროპავლოვსკ“-ზე დაღუპული. (იხ. წერილი დღევანდელ №-ში)

## წყალი რასა მღეროდა

(დასასრული *)

გავიდა დღეები და კვირეები. სთველმა და პირველმა ზამთარმა ძალიან დარებით გაიარა. შობა-ახალწელიწადსაც კი თოვლი არ მოსულა. ბევრმა მწყემსმა ნახა ცოლშვილი და ნათესავები. ბევრმა ქორწილ-წირვებში იქეიფა და დრო ატარა. ნინიას მამა-ძმებიც კითხულობდნენ ნინიასა და იმის ცხვრის ამბავს. ყველას კარგი ამბავი მოჰქონდა მშვიდობიანობისა და სალიანობისა.

ნინოსკი თვალი ჰხუნის გზაზედ ეჭირა. ვინც აკიდებულ ცხენებით გამოჩნდებოდა, ნინოს სულ ნინია ეგონა. აღელვებულს სისხლი ყელში აწვებოდა, თვალთ უბნელდებოდა. აციებ-აცხელებდა, სანამ არ გაიგებდა, ვინც იყო. როცა იტყოდნენ: ეხლა მარცვალაანთ მჭედელამ აიარა, ან ფადიურაანთ მეცხვარე მოვიდა შირაქიდანაო, ნინო მხრებ დამტვრეულ მწუხარივით ადგილიდან ველარ იძვროდა და საქმე ხელში უშეშდებოდა. როდის-როდის მოვიდოდა გონზედ.

ბალღი ცოტა მოეჩრიხვა და დედას ერთთავად გაკვირვებულ თვალს არ აშორებდა; უცქეროდა გაუთავებლად, თითქო უნდა ამ კურთხეულის სახე საუკუნოდ ჩაიჭდიოს გულსა და გონებაშიო. აყოლებდა თვალს, საითაც დედა მიდგებმოდგებოდა, თვალები იმისკენ ებრიცებოდა. თუ შორს იყო, უსიამოვნოდ ჭუნჭყულებდა და თუ ახლო, დედის სიახლოვე ათბობდა და ნეტარებით უღიმოდა, შეჰფრფინავდა, დედის ხმას სცნობდა და თუ ვერსად ჰხედავდა, გაფაციცებულ თვალებით ეძებდა. როცა დედა ჰკოცნიდა და ლოყაზედ იკრავდა, ჩვილი ტუჩებს აცმაცუნებდა და დედის პირისახეზედაც ძუძუს ეძებდა.

— ეგრე, შვილო, ეგრე, —ეტყოდა ნინო:—შენც მარტო ძუძუსთვის გინდივარ, მამაშენსაც მარტო საქმისათვის ვყევარ, რომ ზურგით ძნა და თივა უზიდო, კალო ულეწო, საქონელსა და სახლს მოვუარო, შვილი გავუზარდო და ჩოხა შარვლები უქსოვო. სხვისა რა ღირსია დედა შენი!?

მიყვარდა ხოლმე ძალუა ნინოსთან ყოფნა. ამის მიზეზის გაგება ძნელი არ იყო: ჩემი ხნის ოთხი-ხუთი წლის ქალი ჰყვანდა და სულ ერთად ვთამაშობდით. ნინოსაც ვუყვარდით და გვათამამებდა. შინ კი ჩემთვის ვისა სცხელოდა,— დედაჩემს ისეც ბევრი შვილები ჰყვანდა თავში საცემი. მახსოვს, როცა ის სადედაკაცო კერაზედ იჯდა და საქმობდა, მე და ჩემი ბიძაშვილი ჰრელი (ასე ვეძახდით თიკუნად) საკაცო*) კერაზედ ნაცარში ხუხულეებს ვაშენებდით, ზედ ნაცარს ვაყრიდით.

— შენ კაცი ხარ, საკაცო კერაზედ უნდა იჯდე.—მეტყოდა ხოლმე ძალო.

— ამაღამ ხინკალს მოგიხარშავთ, თქვენ ჭკვიანად იყავით, ე ბალღი დაარწიეთ, მე წყალს შევდგამ და სახინკლე ფქვილს გავცრი,— გვითხრა ერთხელ ნინომ.

წყლიანი ქვაბი საკიდელზედ დაჰკიდა და ძირში ბლომად შეშა შეაყარა. შეშა გახურდა, ცეცხლი გაძლიერდა და

*) იხ. „დამატება“ № 200.

*) კარებიდან რო შევალთ, მარჯვნივ მხარე კერისა სადედაკაცოა და მარცხნივ—საკაცო. ერთი მეორის კერაზედ ვერ დაჯდება.

ქვაბს ირგვლივ შემოეხვია. ცეცხლის ალი გველივით ენასა ჰყოფდა ქვაბში, იკლაკნებოდა და ბიბინი გაჰქონდა... ქვაბსაც თითქო შეეშინდაო, ჯერ სისინს მოჰყვა და მერე წვრილ ხმაზედ წივილი გააბა. ხან უმატებდა წივილს და ხან ხმას იკმენდდა, ბუზივით ბზუოდა, როცა ობობას ქსელში გაებმის ხოლმე. ხან პატარა ბიჭებივით მღეროდა წყალი და ხან ერთბაშად მოზარესავით გააბამდა ზუზუნს, შხიოდა და გულს აწვრილებდა. მე და ჰრელს შეგვეშინდა, ერთმანეთს ვეკვროდით, ხუხულების შენებას თავი დავანებეთ და ქვაბსლა შევცქეროდით. მე შიშით ვკანკალებდი...

ნინოსაც ხელიდან საცერი გავარდნოდა და დაფიქრებული რაღასაც უგდებდა ყურსა. კარში უქარო საღამო იყო. ხევში ჩამდინარე წყლის აბეზარი შხივილი კანთიელად ისმოდა და თითქო მძინარეს აღვიძებსო, ყურში ჩაგვშხუოდა. იქ ის მდინარე და აქ ეს წყალი ნინოს ყურს რაღაც საგულთმისნო ამბებს და საიდუმლო მომავალს უზუზუნებდნენ. თვითონ ნინო გაფითრებულ-გამტკნარებული ჩვენზედ უარესად მოკუნტულიყო... ცეცხლმა თავისი ჰქნა. როცა ქვაბს ორთქლი ავარდა, წყალმა ხმა გაიწყვიტა და უბრალო შიშინი-ღა გაჰქონდა. მე და ჰრელს შიშმა გადაგვიარა და ახლა ხინკალიღა გვაგონდებოდა. ნინოსაც გაეთავებინა ცრა და ახლა ცომის მოზელას შეუდგა.


ტიბეტი.—ტიბეტელი მეომარნი


ტიბეტი.—ტიბეტელები ბრძოლის ველზე

— რა იყო, ძალო, ქვაბში რო წიოდნენ?—ვკითხე ძალოუას, როცა გული დავიარხეინე.

— არაფერი, შვილო, წყალნი მღეროდნენ... ხო ყურს უგდებდი, ჩარგლულაც რა რიგად გაჰშხიოდა და ხმამაღლობდა. როცა ვინმე ჰკვდება, წყლებიც, შვილო, მაშინ ასტეხენ მღერასა. აი, შვილო, ეგ წყალი იმასა მღეროდა, ბიძაშენს თათრები მოჰკვლენ და ჩემთან სისხლიანს მოიტანენ. ჰრელს მამა აღარ ეყოლება, ობოლი იქნება; შენ კიდე—კარგი ბიძა. ვინღა მოგიტანს წითელ კახურებს*).

ამას გვეუბნებოდა ნინო და თან ეტყობოდა, ნატრობდა,—ნეტავი იმდენი ჭკუა ჰქონდეთ, მითხრან: ნუ გეშინიან, ძალო, ეგ შენი ფიქრი სულ ტყუილია, შენი ნინია უჭირველი და საღი დაგიბრუნდება. მოესწრობი კიდევ გაძღე იმის სურვილით. არ გაგიშვებს სიყვარულით გაუხარებელსა. მართალია, ექვსი წელიწადი დაჰკარგე დაუბრუნებლად, იმის ნდობით დამთვრალმა, ცრემლიანის თვალითა, მაგრამ ბოლოს სულ ერთბაშად აინაზღაურებ. დაგავიწყდება წარსული და დაკარგული დრო. დღე და ღამე გვერდზედ გეყოლება და ვეღარავინ წაგართმევს...

მე თათრებისა შემეშინდა. ჰრელიც შემეცოდა, რომ ობლად დარჩებოდა. მეც წითელ კახურებს აღავინ მომიტანდა, აღარც ის ლამაზი ბიძა მეყოლებოდა, ძალო რო დღე მუდამ მიქებდა ხოლმე. ღრიალი მოვრთე. შინ ვაპირებდი გაქცევას.

როგორც იყო ისევ ნინომ დამაშოშმინა. ხინკალმა ხო


ტიბეტი.—დალაილამის სასახლე

სულ დამავიწყა ნინიაც და ნინოს სევდაც. ნინომ თავისი დარდი და ნაღველი თითქო ქორფას სიყვარულს ანაცვალა,

*) კახეთიდან მოტანილს ვაშლს ეძახიან.

# იაპონიის ცხოვრებიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).



ხის ქოშების გამკეთებელი.



თევზის გამყიდავნი.



კარდაკარ მოსიარულე მზარეული თავის სამზარეულოთი.



აბრეშუმის ჭარკს ასუფთავებენ.

ვნებათა ღელვა მოთმინებით დააცხრო. ზოგიც შვილმა რძლ-სთან ერთად გამოსწოვა და ნინოც თითქოს ერთ დონეზედ დადგაო.

ხოლო მდინარეში წყალი ისევ მღეროდა. ჩვენებიანთ სანეხვეზედ ძაღლები მუდამ ღამე ყმუოდნენ. შუაღამისას სოფელ-ში თითქო ცხენოსნები დააჭენებენო, ბანებზედ ისეთი თქა-რა-თქური და დგრიალი ისმოდა. ძაღლებიც ზედ ეხოცე-ბოდნენ.

— ეგენი მგებრებია*),—იტყოდა დედაჩემი,—მოკვდება ვინმე, იმის სულის წასაღებად დადიან...

მეც ღამე სულ ცხენოსნები მელანდებოდნენ, ჩემი წაყვანა უნდოდათ. ვტიროდი და დაფეთებული დედაჩემს გულში ვეკვროდი. დედაჩემიც მკოცნიდა, მიხუტებდა, თან პირჯვარსა მწერდა და ჩემს მაგივრად ლოცვას ამბობდა:

„ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული,
„ვერას მიზამს მაცდური;
„მწყალობს წმიდა გიორგი,
„ჯვარი პატიოსანი!

და როცა თან ზამთრის ქარიც უბერავდა, მთების გუგუნი ისმოდა და ტყე საზარლად ბღუოდა, დედაჩემი „ჩემთანაარს ღმერთს“ ბუტბუტებდა.

*) ფშავლების რწმენით, ორმოცი ცხენოსანი, გარდაცვალებულ წინაპართა ხუთობა, ახლად გარდაცვლილთა სულის წასაღებად მოდიან.

— შენცა სთქვი, შვილო, შენცა: ღმერთი შენისთანა ანგელოზის ლოცვას უფრო შეისმენსო.

ორივენი სასოებით ვლოცულობდით და თავს ღვთის კალთაში ვახვევდით.

***

საშობაოთ მოხმე*) მოვიდა: ნინია თათრებმა მოჰკლეს და მკვდარი მოაქვთო.

აი, რას უმღეროდა ნინოს წყალი!

**თ. რაზიკაშვილი.**

*) მოხმე—სიკვდილის ამბის მომტანი.

## „ფ ო მ ი ნ ო ბ ი ს" კ ვ ი რ ა




მაღაზიაში.




მამის ანაბარა დატოვებული ბავშვები.




მაღაზიიდან დაბრუნებული დედა:—კიდევ მომეცი ფული, დამაკლდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.